

**Lia Karichashvili**

ლია კარიჭაშვილი

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

*Georgia, Tbilisi*

*საქართველო, თბილისი*

**Several Variant Lines in Mikhako Tsereteli's Edition of  
"The Knight in the Panther's Skin"**

**რამდენიმე ვარიანტული ტაეპი „ვეფხისტყაოსნის“ მიხაკო წერეთლისეულ  
გამოცემაში**

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10919>

The Rustvelological reflections of Mikhako Tsereteli continue to command the attention of researchers today.

In this paper I discuss several variant lines and substantiate the validity of those readings that Mikhako Tsereteli favored in his edition.

One such line is: "I sit nursing the love You planted" (201, 4).

Another variant line is: "Waking I thought of her, when I fell asleep (I thought of her) in my drowsiness" (1193)

The resolution of these lines once again attests to the editor's profound knowledge of Rustaveli's artistic language, his textual sensibility, and the most delicate capacity for discerning nuances.

**Keywords:** Mikhako Tsereteli, „The Knight in the Panther's Skin“, line, variant

**საკვანძო სიტყვები:** მიხაკო წერეთელი, ვეფხისტყაოსანი, ტაეპი, ვარიანტი

მრავალმხრივი მეცნიერისა და ქართველ ემიგრანტთა თვალსაჩინო წარმომადგენლის მიხაკო წერეთლის რუსთველოლოგიური ნააზრევი დღესაც იმსახურებს მკვლევართა ყურადღებას. მისი ცალკეული შრომები, „ვეფხისტყაოსნის“ მის მიერ დადგენილი ტექსტი (პარიზი, 1962; მეორე გამოცემა წინო სალიას მიერ 1977), აგრეთვე პოემის პროზაული თარგმანი გერმანულ ენაზე (1975) თავის დროზე საეტაპო მნიშვნელობის იყო. ნაშრომში განვიხილავთ რამდენიმე ვარიანტულ ტაეპს და დავასაბუთებთ იმ წაკითხვის საფუძვლიანობას, რომელთაც მიხაკო წერეთელმა მიანიჭა უპირატესობა თავის გამოცემაში.

ერთ-ერთი ასეთი ტაეპია „**ვზი მზრდელად სიყვარულისა მის, შენგან დანერგულისად**“. ქაჯეთის ციხეში დატყვევებული ნესტან-დარეჯანი სატრფოს სწერს: („წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელთანა“).

*„შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად,  
გულისა ერთობ წყლულისა და ასრე დადაგულისად!  
მომიგონებდი, გახსოვდე მე შენთვის დაკარგული სად;  
ვზი მზრდელად სიყვარულისა მის, ჩემგან დანერგულისად“.* (1297)

ტექსტი დამოწმებულია „ვეფხისტყაოსნის“ 1951 წლის გამოცემიდან (სარედაქციო კოლეგია: ა. ბარამიძე, ვ. კეკელიძე, ა. შანიძე)

სტროფის მეოთხე ტაეპი სახეობრივად წარმოაჩენს (უკეთ რომ ვთქვათ, უნდა წარმოაჩენდეს) დამოკიდებულებას ნესტან-დარეჯანსა და ტარიელს შორის. ამას მკითხველი კონტექსტის მიხედვით გრძნობს, თორემ, ერთი შეხედვით, შეიძლება შეუმჩნეველიც დარჩეს, რომ ტაეპის შინაარსი ორ გმირს არ გულისხმობს, ყოველ შემთხვევაში, არ ასახავს და აი, რატომ:

ტაეპში სიყვარული – ადამიანის სულიერი, ფსიქო-ემოციური განწყობა – გადმოცემულია სახეობრივად: „ვზი მზრდელად...“ ...დანერგულისად“. სიყვარული ასოცირებულია ნერგთან. იგი ნესტანის გულშია ამოზრდილი. ე.ი. გული ერთგვარი ნიადაგია (მზრდელია) ნერგისა. ტაეპის შინაარსი (ისე, როგორც ჩვენ მას ვკითხულობთ) ამ სახე-სიმბოლოთა გათვალისწინებით ასეთია: მე ვარ მზრდელი (ნიადაგი) სიყვარულისა (ნერგისა), რომელიც მე დავრგე.

გამოდის, რომ ნესტან-დარეჯანი ერთდროულად არის მზრდელი (ნიადაგი) ნერგისა და დამნერგავი. იგი დგას ნერგის (სიყვარულის) ორივე მხარეს. მისგან გამომავალი ენერგია მიემართება ისევე მას. ტარიელის სახე დაკარგულია. ტაეპის ზემოხსენებული წაკითხვა მას არ გულისხმობს.

ვნახოთ, როგორ განმარტავს ტაეპს „ვეფხისტყაოსნის“ 1992 წლის გამოცემაში ნოდარ ნათაძე: „ვზი მზრდელად – ვახარებ, ვუვლი, ვაცოცხლებ (ჩემს სიყვარულს შენდამი), მის ჩემგან დანერგულისად – იმ ჩემგან დარგულისა“ (ნათაძე 1992: 421).

ტაეპის მცდარი წაკითხვის შესაბამისად მცდარი ახსნა არაზუსტი და არათანმიმდევრულიცაა. ტაეპის პირველი ნაწილის განმარტებამ – „ვახარებ, ვუვლი, ვაცოცხლებ (ჩემს სიყვარულს შენდამი) – ტექსტს გაუსწრო. ამ ნაწილში („ვზი მზრდელად სიყვარულისა“) არ იკითხება, ვის ან რას მიემართება სიყვარული: მეორე პირს თუ მესამეს, ერთ ადამიანს თუ მრავალს, ადამიანს თუ სამშობლოს, მაგრამ მკვლევარი გრძნობს, რომ სიყვარულის ადრესატი უნდა დაკონკრეტდეს, ვინაიდან თუ უიმიოდ თქვა „იმ ჩემგან დარგულისა“, გამოვა: „ვახარებ, ვუვლი, ვაცოცხლებ ჩემს სიყვარულს ჩემგან დარგულს“. ამგვარ განმარტებაში კი სიყვარულის „მოცალე“, მეორე მხარე, არ გამოჩნდება, ამიტომ მკვლევარი ტაეპის პირველი ნაწილის შინაარსს თვითნებურად განავრცობს („ჩემს სიყვარულს შენდამი“). გარდა ამისა, უცნაურია, რომ ტაეპში „მის“ ნაცვალსახელის ის შემდეგ დასმული მძიმე, რომელიც გამოყოფს სიტყვებს „ჩემგან დანერგულისად“, განმარტებაში აღარ ჩანს და ერთად განიმარტება სიტყვები „მის ჩემგან დანერგულისად“.

როგორ ესმით სინტაგმა „ჩემგან დანერგულისად“?

ის გარემოება, რომ ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის სამიჯნურო ურთიერთობაში პირველი ნაბიჯი ნესტან-დარეჯანმა გადადგა, ანუ პირველმა მან აღიარა სიყვარული („წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა მიწერილი პირველი“), არ ნიშნავს, რომ იგია ამ სიყვარულის დამნერგავი.

დამნერგავი ამ შემთხვევაში უნდა გულისხმობდეს შთამაგონებელს, გამომწვევს ანუ მას, ვისი მიზეზითაც დაიბადა გმირის გულში სიყვარული. ასეთი ნესტან-დარეჯანისთვის ტარიელია, ტარიელისთვის კი ნესტან-დარეჯანი. მიჯნურის გულში სიყვარულისა და იმედის დამნერგავი მისივე გულისსწორია. როდესაც თინათინი ავთანდილს უცხო მოყმის მოძებნას ავალებს, ეუბნება:

*„შენგან ჩემი სიყვარული ამით უფრო გაამყარე,  
რომე დამხსნა შეჭირვება, ეშმა ბილწი ასაჰყარე,  
გულსა გარე საიმედო ია მორგე, ვარდი ყარე,  
მერმე მოდი, ლომო, მზესა შეგეყრები, შემეყარე“.* (131)

ამდენად, აბსურდია ნესტან-დარეჯანი აცხადებდეს: „ვზი მზრდელად სიყვარულისა მის, ჩემგან დანერგულისად“, იგი მიმართავს თავის მიჯნურს და, ბუნებრივია, იტყვის „მის, შენგან დანერგულისად“.

წერილში, გარდა ზემოაღნიშნული ტაეპისა, „სიყვარული“ ორჯერ არის ნახსენები:

1. „მაგრა შენი სიყვარული ჩავიტანე, ჩამრჩა გულსა“.
2. „ნუცა მტირ და ნუცა მიგლოვ, ჩემო, ჩემსა სიყვარულსა“.

ორივე შემთხვევაში სიყვარულის ადრესატი დაკონკრეტებულია, განსაზღვრულია კუთვნილებითი ნაცვალსახელით.

1. შენი სიყვარული – სიყვარული, რომელსაც მე განვიცი შენდამი.

2. ჩემი სიყვარული – რომელსაც შენ განვიცი ჩემ მიმართ.

არც ჩვენთვის საინტერესო ტაეპია გამონაკლისი. აქ იგივე სახელდება და დაკონკრეტება (რასაკვირველია, ისევე კუთვნილებითი ნაცვალსახელით) ხდება ტაეპის მეორე ნაწილში. „შენგან დანერგულისად“ თავისი მნიშვნელობით იგივეა, რაც „შენი“.

ტაეპის აზრი და ქვეტექსტია: შენი სიყვარული ჩემში (ჩემს გულში) უფრო და უფრო იზრდება, ძლიერდება (როგორც ნოყიერ ნიადაგში დარგული ნერგი).

ტაეპის ეს, ჩვენი აზრით, სწორი წაკითხვა გვხვდება „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით წერეთლის გამოცემაში (რუსთაველი 1977, გვ. 201) ასევე პოემის პროზაულ თარგმანში გერმანულ ენაზე: „Ich bin da, die Liebe grosszuziehen, die von dir gepflanzt ward“ (Tsereteli, 1975, 191)<sup>1</sup>. მანამდე გვხვდება მხოლოდ 2 გამოცემაში (დავით კარიჭაშვილი, 1920; სარგის კაკაბაძე, 1927). ამგვარ წაკითხვას საფუძველს აძლევს პოემის 10 ხელნაწერი.

რაც შეეხება ტაეპში სასვენ ნიშანს, რომელიც აცდენილია ცეზურას და აბრკოლებს ლექსის რიტმს, იგი უნდა განთავსდეს „მის“ ნაცვალსახელის წინ, იქ, სადაც მას ითხოვს ლექსის რიტმი, საზომი და წინადადების სინტაქსური წყობა:

„ვზი მზრდელად სიყვარულისა, იმ შენგან დანერგული – (სიყვარულისა)– სად (ან: იმ სიყვარულისა, რომელიც შენ მიერ არის დანერგული). „მის“ აქ არის ჩვენებითი ნაცვალსახელი – ის, იგი – რომელიც (ძველი ქართული ენის ნორმის გათვალისწინებით) ნათესაობით ბრუნვაში შეწყობილია სახელთან „სიყვარულისა“.

ანალოგიური კონსტრუქციის ტაეპებია:

*„ბროლ-ბალახშისა თლილისა, მის მიჯრით მიწყობილისა“ (5,3;*

*„ვიცა მზე თინათინისა, მის მზისა მოწყუნარისა“ (66, 2);*

*„ნახვა მის მზისა ნათლისა, მის თვალად არ დუხჭირისა“ (691,2).*

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ტაეპის წაკითხვის სწორი ვარიანტია: **„ვზი მზრდელად სიყვარულისა, მის შენგან დანერგულისად“**.

ვარიანტულია აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ ტაეპი: **„მას ვიგონებდი მღვიძარე, რა მიმეძინის რულითა“** (// „... რა მიმეძინის ლულითა“; „... რა მიმელულის ლულითა“).

უმიზეზო სევდა, რომელიც ფატმანს ნავროზობა დღეს ეუფლება, გაცხადებულ ტანჯვად იქცევა მის ცხოვრებაში ნესტან-დარეჯანის გამოჩენის შემდეგ. ამის შესახებ იგი ავთანდილს უამბობს:

*„სახლი და შვილი მომძულდეს, ვკადი უგულოთა გულითა,  
მას ვიგონებდი მღვიძარე, რა მიმელულის ლულითა,  
უსენ, გამტეხი ფიცისა, მიჩნს უსჯულოთა სჯულითა,  
ვერ მიმიახლოს საახლოდ კრულმან პირითა კრულითა“ (1211)*

სტროფის მეორე ტაეპი ხელნაწერებსა და გამოცემებში რამდენიმე ვარიანტით იკითხება, მათ შორის ძირითადია:

1. „მას ვიგონებდი მღვიძარე, რა მიმეძინის ლულითა“.

2. „მას ვიგონებდი მღვიძარე, რა მიმეძინის რულითა“.

იმის გასარკვევად, თუ რომელი ვარიანტი გადმოსცემს უფრო ზუსტად ფატმანის სათქმელს, ჯერ დავადგინოთ ტაეპის მეორე ნაწილში მონაცვლე სიტყვათა ლექსიკური მნიშვნელობა. ეს სიტყვებია: მილულვა (მიმელულის), ლული (ლულითა), რული (რულითა).

<sup>1</sup> პოემის გერმანულენოვანი პროზაული თარგმანის მონაცემები მოგვაწოდა ბატონმა ლევან ბრეგაძემ.

1. „რული– მცირე ძილი“ (ორბელიანი, 1991, გვ. 14).

„რული, რულ(ილ)ი – თვლემა, ძილი“ (აბულაძე, 1973, გვ. 350).

„რული– მსუბუქი ძილი, თვლემა“ (ქართული ენის..., 1986, გვ. 380).

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონებში რული განმარტებულია, როგორც ძილი, თვლემა („ვეჯე და მასვე ვიგონებდი, არ მიეცა თვალთა რული“).

## 2. ლული

„ლული – ძილის ლური, ლული – სადაოზე წარტაცებული რამ. ლული ეწოდების ტვიფსა, გინა რულსა ძილისასა, კვალად სადაოზე წარტაცებულსა რასამე“ (ორბელიანი, 1991, გვ. 424).

„ლული – სიცხის ლული - დიდი სიცხე, ცოდვის ლული – დიდი ცოდვა.

ლული – იგივეა, რაც „რული“ (ქართული ენის... 1986, გვ. 278). (ამავე ლექსიკონის ანტონიმულში ლული განმარტება რულთან ერთად, თუმცა დამოწმებული ხუთი წინადადებიდან ხუთივეში იკითხება რული).

„ლული“ არ შედის ძველი ქართული ენის ლექსიკონში როგორც ცალკე ლექსიკური ერთეული ან როგორც „რულის“ სინონიმი, თუმცა აქ განმარტებულია „ლულვა“ ზმნისწინიანი ფორმით „შელულვილ-ი“, რომელსაც ახლავს ერთი საილუსტრაციო წინადადება: „საქმისა მისგან გონებისა მღვიძარისა შელულვილ საშუმინველისა მისგან პირუტყვებრისა“ (გრ. ნოს. კაც. აგებ. 170,23) (აბულაძე, 1973, გვ. 477).

ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონში (1986) არ იძებნება „ლული“ ან მისგან ნაწარმოები თუნდაც ერთი სიტყვა. ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, მას არ იცნობს არც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი, თუ არ ჩავთვლით გამონაკლისს – ერთადერთ ტაეპში ამოკითხულ „ლულს“, რომელიც ვარიანტულია და გამორიცხული არ არის, იყო დამახინჯებული წაკითხვა „რულისა“. პოემის ლექსიკონებში „ლული“ განმარტებულია „რულთან“ ერთად, როგორც სინონიმი. აკაკი შანიძის მიერ შედგენილ „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონიაში სიტყვასთან „რული“ მითითებულია: „ნახე კიდევ ლული, მილულვა“ (277). ეს იმას ნიშნავს, რომ „ლული“ და „რული“ მიჩნეულია იდენტური შინაარსის სიტყვებად, ხოლო „მილულვა“ „ლული“-დან ნაწარმოებ სიტყვად.

არის თუ არა „ლული“ „რულის“ სინონიმი ზემოწარმოდგენილ ლექსიკონთა მონაცემებით? ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისა და „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი ლექსიკონის მიხედვით, არის. ერთი შეხედვით, ეს სიტყვები სინონიმებია სულხან-საბას განმარტებითაც, მაგრამ საყურადღებოა, რომ „ლულს“ იგი განმარტავს არა ტოლფარდი, დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულებით (ვთქვათ: ძილი, რული), არამედ ამ ერთეულთა სინტაგმით: „ძილის რული“ (ერთ-ერთ ხელნაწერში (E) „რულს“ ენაცვლება „ლური“). ხომ არ მიანიშნებს ეს იმას, რომ „ლული“ შინაარსობრივად ძალზე ახლოა „რულთან“, მაგრამ მისი სინონიმი არ არის და ემიჯნება მას თუნდაც მცირე ნიუანსური სხვაობით. იმ შემთხვევაში, თუ „ლული“ „რულის“ სინონიმია, ეს მინიშნებული უნდა ყოფილიყო „რულის“ განმარტებისას. ამდენად, ძნელია გადაჭრით ითქვას, რომ სულ-ხან-საბას ლექსიკონის მიხედვით, ეს სიტყვები სინონიმებია.

## 3. მილულვა

„ვეფხისტყაოსნის“ რედაქტორ-გამომცემელთა ერთი ნაწილის აზრით, მილულვა იგივეა, რაც მიძინება, „მირულვა“. ამ მნიშვნელობით კითხულობენ სიტყვას ტაეპებში: „მას ვიგონებდი მღვიძარე, რა მიმელულის ლულითა“; „რა მილულნის, სიახლევე საყვარლისა ეოცების“ (140).

ჩვენ მიერ ზემოდასახელებულ არც ერთ ლექსიკონსა და სიმფონია-ლექსიკონში არ არსებობს სიტყვა მილულვა, რომელიც განმარტება მიძინებად, თვლემად. ამავე ლექსიკონებში მიძინებას, თვლემას ცალსახად შეესატყვისება „მირულვა“, „მირულება“.

„მირულა – მიძინა“ (ქართული ენის... 1986, გვ. 480).

„მირულება – მითვლემა, მიძინება“ (აბულაძე, 1973, გვ. 249).

„მირულვა, [ჩათვლემა, მიძინება]“ (იმნაიშვილი, 1986, გვ. 345).

„რულვა – თვლემა, რული - რული ერევა, თვლემს“ (ქართული ენის... 1986, გვ. 463).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მონაცემებით „ლული“ იგივეა, რაც „რული“. აქედან გამომდინარე, მილულვა (ანალოგიით მირულვა) უნდა ნიშნავდეს მიძინებას.

მილულვას აქვს მეორე ლექსიკური მნიშვნელობაც – თვალების დახუჭვა. მილულული თვალელები – ეს არის ოდნავ დახუჭული თვალელები. „ლულავს. გრდმ. თვალეებს ლულავს – თვალეებს ოდნავ ხუჭავს, თვალეებს ნაბავს. შდრ. „ელულება“ (ქართული ენის... 1986, გვ. 27).

ადამიანს შესაძლოა თვალეები მიეღულოს იმის გამო, რომ მას ეძინება, რული ეკიდება, მაგრამ მილის სურვილი თვალეების მილულვის ერთადერთი მიზეზი არ არის. შესაძლოა, ადამიანი თვალმილულული ფიქრობდეს, უსმენდეს (მუსიკას, საუბარს და სხვა), ან, უბრალოდ, თვალს ასვენებდეს. ამ გაგებით სიტყვა აქტიურია სასაუბრო მეტყველებაშიც და სალიტერატურო ენაშიც: „მის თვალეებს წარმოუდგა მაცვალა სრულის თავის მშვენიერებით. მილულულს თვალეებს დარაჯად მოხვეოდა გრძელი და გომერსავით შავი წამწამები“ (ალექსანდრე ყაზბეგი, „მომღვარი“). „შვილმა იგრძნო დედის ხელი თავის გულზედ, თუ ხმამ დედისამ გამოაბრუნა - ეს კი იყო, თვალეი გაახილა და უღონოდ მოატარა გარშემო. მალე ისევ მიეღულა თვალეი, ისევ დაეხუჭა და ტუჩებსდა დაუწყო ტოკვა“ (ილია ჭავჭავაძე, „ოთარანთ ქვრივი“).

იმის გასარკვევად, თუ „მილულვის“ ორი ლექსიკური მნიშვნელობიდან (1. მიძინება, მითვლელმა; 2. თვალეების დახუჭვა), რომელია ზუსტი „ვეფხისტყაოსნის“ შესაბამის ტაეპებში, არსებობს ორი გზა: ამ სიტყვიდან წარმოებულ ზმნათა მორფოლოგიური ანალიზი და ტაეპთა კონტექსტი.

პოემაში „მილულვადან“ წარმოებული ორი ზმნა იკითხება: „მიმელულის“ (მას ვიგონებდი მღვიძარე, რა მიმელულის ლულითა“ – ამბობს ფატმანი) და „მილულნის“ (რა მილულნის, სიახლევე საყვარლისა ეოცების“ – ნათქვამია ავთანდილის შესახებ).

დავიწყით უკანასკნელით.

მილულნის – ზმნის საწყისია ლულვა. წარმოდგენილია II სერიის მწკრივით, წყვეტილის ხოლმეობითით. ზმნა II სერიაშია, ესე იგი, მისი სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაში დგას. ზმნა გარდამავალია, მოქმედებითი გვარისა. სუბიექტი, ცხადია, ავთანდილია. რა შეიძლება იყოს პირდაპირი ობიექტი, თანაც ნარიან მრავლობითში, თუ არა „თვალნი“.

მეორე ხოლმეობითის (იგივე წყვეტილის ხოლმეობითის) მწკრივი, რომლითაც ზმნა არის წარმოდგენილი, ახალ ქართულ ენაში აღარ არსებობს. შემორჩენილია მხოლოდ მთის კილოებში. ამ მწკრივს უახლოვდება უწყვეტლის მწკრივი. ამიტომ II სერიის ზმნა „მილულნის“ (ავთანდილმა თვალნი) გადაინაცვლებს I სერიის უწყვეტელში, რათა შერჩეს ხოლმეობითის გაგება და „რა მილულნის“ თავისი აღდგენილი წევრებითურთ ახალი ქართულით გაიმართება ასე: ავთანდილი რომ თვალეებს ხუჭავდა ...

აქვე შევნიშნავთ, რომ „მილულნის“ ზოგიერთ გამოცემაში იკითხება მცირე სხვაობით „მილულნის“. პირდაპირობიექტური პირის ნიშნად მიჩნეული 3 ზმნაში სრულიად ზედმეტია, მით უფრო, რომ იგი II სერიაშია. „პირდაპირ-ობიექტური პირის ფორმას ძველად არაფერი ჰქონდა და დღესაც არაფერი აქვს. I სერიის ფორმებში ზოგ შემთხვევაში პირდაპირ-ობიექტურ პირსაც ჰქონდა ნიშანი“ (შანიძე, 1980, გვ. 185).

ახლა ვნახოთ რამდენად მისაღებია მილულვა, როგორც თვალეების დახუჭვა, კონტექსტის თვალსაზრისით. თინათინთან საუბრის შემდეგ შინდაბრუნებულმა ავთანდილმა მღელვარე, ცრემლიანი ღამე გაატარა:

*„საწოლსა დაწვა, ტირს, მტირალსა ცრემლი ძნელად ეხოცების,  
ვითა ვერხვი ქარისაგან, ირხევის და იკეცების,  
რა მილულნის, სიახლევე საყვარლისა ეოცების,  
შეკრთის, დიდნი დაიზახნის, მით პატიჟი ეოცების“ (140)*

III ტაეპში სიახლევე იგივეა, რაც ახლოს ყოფნა, თანხლება; ოცება – [მო]ჩვენება, ლანდი. მოჩვენება შეიძლება იყოს სიზმრისეული, ე. ი. მას ძილში ხედავდეს ადამიანი („მაგრა მისი მნახავიცა სიზმრით კაცი არ მეოცა.“ (588), ან ცხადში ხედავდეს რამე წარმოსახვითს, არარეალურს, ან რე-

ალურს, მაგრამ იმდენად უცნაურსა და დაუჯერებელს, რომ მოჩვენებად მიიჩნეოდა („ჯეროთვა ესე არა ვიცი, ცხადი იყო თუ მეოცნა.“ (110).

ტაეპის აზრია: ავთანდილი რომ თვალებს დახუჭავდა, ისევ საყვარელი ელანდებოდა, მისი სახეება ედგა თვალწინ.

რა თქმა უნდა, ავთანდილი თვალებს ხუჭავდა დაძინების მიზნით („საწოლს დაწვა“), მაგრამ კი არ ეძინა ან თვლემდა, როგორც ამას ნოდარ ნათაძე განმარტავს: „რა მიჰლულნის - რომ მიერულეობდა ხოლმე“ (1992, გვ. 58), არამედ საერთოდ ვერ ახერხებდა დაძინებას, რადგან მოხუჭავდა თუ არა თვალს, კვლავ საყვარლის ლანდი უდგებოდა თვალწინ, შეკრთებოდა („შეკრთის“), წამოიყვირებდა („დიდნი დაიზახნის“) და ამით ტანჯვა უოცკეცდებოდა. რით? სწორედ იმით, რომ ძილის მცდელობა უარესი იყო. თვალდახუჭულს საყვარლის სახე უფრო მკაფიოდ ელანდებოდა. ამას მოსდევდა კვლავ ცრემლთა ფრქვევა („ცრემლსა ვითა მარგალიტსა სწვიმს ვარდისა დასანაზოდ“) და ამასობაში გათენდა („რა გათენდა, შეეკაზმა ...“).

სტროფის შინაარსი, ორიოდ სიტყვით რომ გადმოვცეთ, ასეთია: ავთანდილმა იმ ღამეს ვერ დაიძინა.

როგორც ვხედავთ, ამჯერად ერთმანეთს დაემთხვა სამი ძირითადი ფაქტორი: სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა, მილულვა – თვალების დახუჭვა, ზმნის („მილულნის“) მორფოლოგიური მონაცემები და კონტექსტი.

განვიხილოთ „მილულვადან“ წარმოებული მეორე ზმნა – „მიმელულის“ – ტაეპიდან „მას ვიგონებდი მღვიძარე, რა მიმელულის ლულითა“.

მიმელულის - ზმნის საწყისია მილულვა (შესაძლოა მილულება), წარმოდგენილია I სერიის I ხოლმეობითით. ზმნა გარდაუვალია, ორპირიანი. იგი არ გამოირიცხავს „მილულვის“ არც ერთ მნიშვნელობას; შესაძლოა, გულისხმობდეს თვალების დახუჭვას (მიმელულა თვალები), ან მითვლემას, მიძინებას (იმ შემთხვევაში, თუ ლულს რულის სინონიმად მივიჩნევთ). ანალოგიურია წარმოება ზმნისა „მიმერულა“. თუ „მიმელულა“ იგივეა, რაც „მიმერულა“, მაშინ ზმნის ორპირიანობა ფორმალურია, რეალურად მას ერთი პირის გაგება აქვს (მიმელულა//მიმერულა მე).

ასეთ ვითარებაში სიტყვის მნიშვნელობის დასადგენად რჩება ერთადერთი გზა - კონტექსტი, რომლის მიხედვითაც ერთმნიშვნელოვანია აზრი იმის შესახებ, რომ მოცემულ ტაეპში „მიმელულის“ გულისხმობს არა თვალების დახუჭვას, არამედ მითვლემას, მიძინებას, მაგრამ რამდენად ზუსტია წაკითხვა: „რა მიმელულის ლულითა“ და აქვს თუ არა მას უპირატესობა ვარიანტულ წაკითხვებთან შედარებით („რა მიმეძინის რულითა“, „რა მიმეძინის ლულითა“)?

ფაქტმანი ავთანდილს უამბობს, რა მძაფრ ტანჯვას განიცდის ნესტან-დარეჯანთან განშორების გამო. ტაეპი „მას ვიგონებდი მღვიძარე, რა მიმელულის ლულითა“ ლოგიკური გაგრძელებაა წინა სტროფის ორი ტაეპისა:

*„მას უკანით გაუწყვედლად დება მჭირდის ცეცხლთა ცხელთა,  
ვერ გავახში წყარო ცრემლთა, თვალთა ჩემთა გადმომღვრელთა“. (1210)*

ეს ტაეპები მსგავსია შინაარსობრივი ტენდენციით – გამოკვეთონ, ხაზი გაუსვან ფაქტმანის წუხილის მუდმივობას, შეუწყვეტლობას („...გაუწყვედლად...“, „ვერ გავახში წყარო ცრემლთა...“), ამიტომ ტაეპის პირველ ნაწილში ნათქვამი „მღვიძარე“ („მას ვიგონებდი მღვიძარე“) – მოითხოვს თავის ანტონიმს მეორე ნაწილში, რათა გამოლიანდეს დრო ღვიძილისა და ძილისა. ე.ი. ტაეპში უნდა გამოჩნდეს „ძილი“. მართლაც, ტაეპის ერთ-ერთ ვარიანტში იკითხება „რა მიმეძინის“. შეიძლება თუ არა მას ჩაენაცვლოს „მიმელულის“? რასაკვირველია, არა, რადგან ლული (რული) ძილის სინონიმი არ არის და მისი გამოყენება ღვიძილის („მღვიძარე“) საპირისპირო ცნებად მართებული არ იქნება. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ „რა მიმელულის ლულითა“, ანალოგიით: „რა მიმერულის რულითა“ მაღალი სტილის ნიმუში არ არის, მაშასადამე, „რა მიმეძინის“ – ამბობს ფაქტმანი, მაგრამ იმის გამო, რომ იგი შინაგანად აფორიაქებულია, მუდმივად წუხს, დარდობს, მისი ძილი ვერ იქნება ღრმა, სრულფასოვანი. ესაა უფრო ზედაპირული, „მცირე“ ძილი, თვლემა. ესაა ის, რასაც

ყველა ლექსიკონში ცალსახად შეესატყვისება „რული“ (და არა ლული). „მიმემინის რულითა“ გულისხმობს ქვეტექსტს: მეძინა, მაგრამ ცუდად, ზედაპირულად. ვფიქრობთ, ტაეპის შინაარსის ამგვარი გაგება ზუსტად მიესადაგება კონტექსტს.

„რულითა“-ს გამოჩენა სტროფის სართომო სიტყვათა რკალში დისონანსს ვერ შეიტანს, რადგან მას IV ტაეპის სართომო სიტყვაში უკვე ხვდება თანხმოვანი რ (I – „გულითა“, II – „რულითა“, III – „სჯულითა“, IV - „კრულითა“).

„მიმემინის“, რომელსაც ირჩევს მიხაკო წერეთელი, მომდინარეობს ხელნაწერთა უმრავლესობიდან, იკითხება ყველა გამოცემაში დაწყებული 1712 წლის ვახტანგისეული გამოცემიდან 1966 წლის გამოცემების ჩათვლით. მას შემდეგ კი, გარდა მ. წერეთლისა, გაზიარებულია პ. ინგოროყვას (1970) და ნ. ნათაძის მიერ (1974, 1992, 1996).

„რულითა“ (მომდინარეობს 4 ხელნაწერიდან), დაცულია მხოლოდ 4 გამოცემაში (გ. ქართველიშვილი (1888), დ. კარიჭაშვილი (1903, 1920;) მ. წერეთელი (1977).

(პოემის გერმანულ თარგმანში საანალიზო ტაეპი ასე იკითხება: „An sie dachte ich, wenn ich wach war (und) wenn der Schlummer mich befiel. (1975, გვ. 180) (მასზე ვფიქრობდი, როდესაც მეღვიძა (და) როდესაც თვლელმა მომეროდა (დამეცემოდა).

ვფიქრობთ, „ვეფხისტყაოსნის“ მომავალი გამოცემები გზას გაუხსნიან ტაეპის წაკითხვის მართებულ ვარიანტს: „**მას ვიგონებდი მღვიმარე, რა მიმემინის რულითა**“, ხოლო ტაეპი - „რა მილულნის, სიახლევე საყვარლისა ეოცების“ – ადეკვატურად იქნება განმარტებული.

ამ და სხვა ვარიანტულ ტაეპთა გადაწყვეტა კიდევ ერთხელ ცხადყოფს მიხაკო წერეთლის, როგორც ვეფხისტყაოსნის რედაქტორ-გამომცემლის მიერ რუსთაველის მხატვრული ენის სიღრმისეულ ცოდნას, ტექსტოლოგიურ ალღოსა და ნიუანსების წვდომის უფაქიზეს უნარს.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- აბულაძე, ი. (1973). ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი: „მეცნიერება“.
- იმნაიშვილი ი. (1986). ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ორბელიანი, ს. ს. (1991). ლექსიკონი ქართული, ტ. I. თბილისი: „მერანი“.
- ორბელიანი, ს. ს. (1993). ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბილისი: „მერანი“.
- ქართული ენის ... (1986). განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული (მთ. რედ. არნ. ჩიქობავა, რედ. მ. ჭაბავილი).
- შანიძე, ა. (1956). ვეფხისტყაოსნის სიმფონია, თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- შანიძე, ა.(1980). შანიძე ა. თხზულებანი. ტ. III. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- შოთა რუსთაველი, (1951). „ვეფხისტყაოსანი“, სარედაქციო კოლეგია: ა. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა.
- შოთა რუსთაველი, (1992). „ვეფხისტყაოსანი“, ნ. ნათაძის კომენტარებით, თბილისი: „განათლება“.
- შოთა რუსთაველი, (1977). ვეფხისტყაოსანი, ტექსტი აღდგენილი მიხაკო წერეთლის მიერ, პარიზი.

#### References:

- Abuladze, I. (1973). Dzvelli kartuli enis leksik'oni. [Dictionary of the Old Georgian Language]. Tbilisi: „metsniereba“.
- Imnaishvili, I. (1986). Kartuli otkhtavis simponia-leksik'oni. [Georgian Symphony of Four Parts - Lexicon]. Tbilisi: Tbilisis universit'et'is gamomtsemloba.
- Orbeliani, S. S. (1991). Leksik'oni kartuli, t'. I. [Dictionary of Georgian, Vol. I]. Tbilisi: „merani“.
- Orbeliani, S. S. (1993). Leksik'oni kartuli, t'. II, [Dictionary of Georgian, Vol. II]. Tbilisi: „merani“.
- Kartuli enis ... (1986). Ganmart'ebiti leksik'oni, ertt'omeuli (mt. red. Arn. Chiqobava, red. M. Sh'abashvili). [Georgian Language Explanatory Dictionary, One Volume (Edited by Arn. Chikobava, Edited by M. Chabashvili)].
- Shanidze, A. (1956). Vefkhist'q'aosnis simfonia. [Symphony of the Rider in the Leopard's Skin]. Tbilisi: St'alinis sakhelobis Tbilisis sakhelmts'ifo universit'et'is gamomtsemloba.
- Shanidze, A. (1980). shanidze a. tkhzulebani. t'. III. [Shanidze A. Works. Vol. II]. Tbilisi: tbilisis universit'et'is gamomtsemloba.

- Shota Rustaveli, (1951). „Vepkhist'q'aosani“, saredaqtsio k'olegia: A. Baramidze, K'. K'ek'elidze, A.S. [The Knight in the Tiger's Skin], Editorial Board: A. Baramidze, K. Kekelidze, A. Shanidze]. Tbilisi: saqartvelos ssr sakhelmts'ifo gamomtsemloba.
- Shota Rustaveli, (1992). „Vefkhist'q'aosani“. N. Natadzis k'oment'arebit. [The Knight in the Tiger's Skin], with comments by N. Natadze]. Tbilisi: „ganatleba“.
- Shota Rustaveli, (1977). Vefkhis-t'q'avosani. T'eqst'i aghdgenili Mikhak'o Ts'eretlis mier. [“The Knight in the Tiger's Skin”, text restored by Mikhako Tsereteli]. P'arizi.